

სამედიცინო მოწყობილობის გამოყენების ინსტრუქცია
ცხვირის ღრუს საირიგაციო (გამოსარეცხი) საშუალებები
"Aqualor Protect" 30 მლ,
მწარმოებელი "IS LAB" საფრანგეთი / YS LAB, საფრანგეთი

სამედიცინო მოწყობილობის დასახელება

ცხვირის ღრუს საირიგაციო (გამოსარეცხი) საშუალება "Aqualor Protect" 30მლ

სამედიცინო მოწყობილობის მწარმოებელი

მწარმოებელი

«ის ლაბ» საფრანგეთი / YS LAB, 2 rue Felix Le Dantec, 29000 Quimper, France.
ტელ./ფაქსი: +33 (0) 2-98-53-30-03/ + 33 (0) 2-98-94-87-37. E-mail: info@yslab.fr

წარმოების ადგილი

«ის ლაბ» საფრანგეთი / YS LAB, 2 rue Felix Le Dantec, 29000 Quimper, France.
ტელ./ფაქსი: +33 (0) 2-98-53-30-03/ + 33 (0) 2-98-94-87-37. E-mail: info@yslab.fr

დანიშნულება

"Aqualor Protect" შექმნილია ცხვირის ღრუს ლორწოვანის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რომელიც წრმოადგენს ბარიერს რესპირატორული ინფექციების გავრცელებისთვის, ხელს უწყობს ლორწოს მოცილებას, სეკრეციის შემცირებას, არბილებს და ამორებს ქერქებს, ამცირებს რესპირატორული ინფექციების რისკს, ატენიანებს ცხვირის ლორწოვან გარსს. პროდუქტის რეგულარული გამოყენება ხელს უწყობს ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის გაწმენდას პათოგენური მიკროორგანიზმებისგან (ვირუსი, ბაქტერიული, სოკოვანი) ლორწოვანი გარსის ბიოცენოზის დარღვევისა და დატენიანების გარეშე.

გამოყენების ჩვენებები

რესპირატორული ინფექციების (გრიპი, SARS და სხვა გაციების) პროფილაქტიკა და კომპლექსური მკურნალობა, ცხვირის ლორწოვანი გარსის დაცვა რესპირატორული ინფექციების დროს. ცხვირის ღრუს, პარანასალური სინუსების და ნაზოფარინგის მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების პროფილაქტიკა და კომპლექსური მკურნალობა:

- მწვავე და ქრონიკული რინიტი (ცხვირიდან გამონადენი);
- მწვავე და ქრონიკული სინუსიტი (მათ შორის ჰაიმორიტი);
- მწვავე და ქრონიკული ადენოიდიტი;
- ალერგიული და ვაზომოტორული რინიტი;

ცხვირის ღრუსა და პარანასალურ სინუსებში ქირურგიული ჩარევის შემდეგომი მდგომარეობა.

განკუთვნილია 6 თვიდან ბავშვებისთვის და მოზრდილებისთვის.

უკუჩვენებები

არ გამოიყენოთ ალერგიის დროს, პროდუქტში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ აუტანლობის ან ჰიპერმგრძობელობის შემთხვევაში, 6 თვემდე ასაკის ბავშვებში.

გვერდითი მოვლენები

არ არის გამოვლენილი

სიფრთხილის ზომები გამოყენებისას

კონტამინაციის რისკის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია:

- ყოველი გამოყენების შემდეგ გარეცხეთ გამფრქვევი თბილი საპნიანი წყლით და შემდეგ გადაავლეთ წყალი.

- არ გაუზიაროთ ეს სპრეი სხვა ადამიანებს.

სეზონური რესპირატორული დაავადებების შემთხვევაში, თუ ეჭვი შეგეპარათ ან სიმპტომები გაუმჯობესების გარეშე გაგრძელდა 5 დღეზე მეტ ხანს, უნდა მიმართოთ ექიმს.

არ არის რეკომენდებული მისი გამოყენება ჰიპერთირეოზის დროს, ასევე, ორსულობისა და ლაქტაციის დროს, კვლევების არარსებობის გამო.

სამედიცინო მოწყობილობის ძირითადი მახასიათებლები

აღწერილობა

ცხვირის ღრუს საირიგაციო საშუალება "Aqualor Protect" წარმოადგენს პლასტმასის ფლაკონში მოთვსებულ ხსნარს, აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც იცავს სამედიცინო მოწყობილობას კონტამინაციისგან და არ საჭიროებს კონსერვანტების დამატებას.

ცხვირის ღრუს ირიგატორის Aqualor Protect კომპონენტები:

შემადგენლობა:

ზღვის წყალი	45%
გასუფთავებული წყალი	100 %-მდე
ყავისფერი წყალმცენარეების ექსტრაქტი (Ascophillum nodosum)	0,1%

ზღვის წყალი შეიცავს ნატრიუმს, მანგანუმს, ქლორიდს, ბრომს, მაგნიუმს, კალციუმს, კალიუმს, იოდს, გოგირდს. არ შეიცავს კონსერვანტებს.

„Aqualor Protect“ შეიცავს ზღვის წყლის ჰიპერტონულ ხსნარს, რომელსაც აქვს მინერალური მარილების უფრო მაღალი კონცენტრაცია (15 გ/ლ) ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის უჯრედებსა და უჯრედშორის სივრცესთან შედარებით.

ზღვის წყლის მიღება ხორციელდება ბრეტანის სანაპიროზე, ბუნებრივ ზონაში, სადაც ზღვის წყალი მუდმივად განახლება ძლიერი დინების გამო, მიქცევის და მოქცევის დროს.

ორიგინალური სატუმბი სისტემის წყალობით, Aqualor Protect-ისთვის ზღვის წყლის მიღება ხდება ქვიშის ფილტრის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს:

- ზღვის წყლის ბუნებრივ წინასწარ ფილტრაციას;
- ზღვის წყლის ხარისხის მუდმივობას, გარე ფაქტორების მიუხედავად;
- მიკროელემენტებისა და მინერალების ბუნებრივი სიმდიდრეს.

ტექნიკური მახასიათებლები:

ვიზუალი/სუნი	გამჭვირვალე, უფერო ან ოდნავ მოყვითალო ხსნარი, უსუნო ან მსუბუქი სუნით
pH	7,25 ± 1,25
სიმკვრივე	1,008 – 1,016 გ/სმ ³
ოსმოლოარობა	476 ± 40 მოსმოლ/კგ
NaCl შემცველობა	15,0 ± 1,2 გ/ლ

ზღვის წყლის ჰიპერტონული ხსნარი მოთავსებულია პლასტმასის ფლაკონში, რომელიც დაცულია ყოველგვარი დაბინძურებისგან.

თავაკი

დოზა: 100-140 მკლ/შესხურება, რომელიც უზრუნველყოფს წვრილ შესხურებას, რომელიც იძლევა ნაზი და უსაფრთხო ირიგაციის საშუალებას. დოზების საშუალო რაოდენობა ფლაკონზე: 214 დოზა.

ფერი: თეთრი თავაკი და იასამნისფერი ქუდაკი

გარეგნობა: მბზინავი, გაუმჭვირვალე.

ფლაკონი 30 მლ

ფლაკონი დამზადებულია პოლიეთილენისგან, რომელიც არ კოროზირდება და ამიტომ, ეს ფლაკონი შესანიშნავად ინარჩუნებს ხსნარს და აცილებს ნებისმიერი კონტამინაციის რისკს.

ფლაკონი ხასიათდება კარგი გამძლეობით.

მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მელანი და საღებავები შეესაბამება ევროპულ კანონმდებლობას.

ფლაკონის მაქსიმალური მოცულობა 35მლ ± 10%

ფლაკონის წონა 43 გ ± 10% ხსნარით

ფუნქციური მახასიათებლები

ჰიპერტონული ზღვის წყლის ხსნარი ამცირებს ცხვირის ლორწოვანი გარსის შეშუპებას უჯრედშორისი სივრციდან ჭარბი სითხის მოცილების გზით ოსმოსური წნევის სხვაობის ხარჯზე, რაც ხელს უწყობს ცხვირის შეშუპების შემცირებას და ცხვირით სუნთქვის აღდგენას.

ყავისფერი წყალმცენარეების ექსტრაქტი ხელს უწყობს ცხვირის ლორწოვანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობის შენარჩუნებას: უზრუნველყოფს დატენიანებას და რეგენერაციას (შეხორცებას), ხელს უწყობს ანთებითი რეაქციის შემცირებას და სისხლდენის შეჩერებას, ქმნის ოპტიმალურ პირობებს იმუნური სისტემისთვის, კერძოდ მაკროფაგებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბაქტერიების აქტიურ დაჭერასა და განადგურებაზე, მკვდარი უჯრედების ნაშთებზე,

ორგანიზმისთვის უცხო ან ტოქსიკურ ნაწილაკებზე. ზღვის წყალი და ზღვის მცენარეების ექსტრაქტი შეიცავს იოდს, რომელსაც აქვს უნარი გაანადგუროს და თავიდან აიცილოს ბაქტერიების, ვირუსების და სოკოების გამრავლება. ზღვის წყალში შემავალი კალციუმის და მაგნიუმის იონები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცხვირის ლორწოვანის მოციმციმე ეპითელიუმის უჯრედების მუშაობას, ახდენს ლორწოს რეოლოგიური თვისებების (სიბლანტის) ნორმალიზებას და ზრდის წინააღმდეგობას (რეზისტენტობას) ვირუსებისა და ბაქტერიების შეჭრის მიმართ.

გამოშვების ფორმა: სპრეი. პულივიზატორი აფრქვევს წვრილად, რაც ნაზი და უსაფრთხო ირიგაციის საშუალებას იძლევა.

I კლასის სამედიცინო მოწყობილობა.

არ არის სამკურნალო საშუალება.

გამოყენების პირობები: ინტრანაზალურად ინდივიდუალური გამოყენებისთვის.

შეფუთვა

ცხვირის ღრუს საირიგაციო საშუალება "Aqualor Protect" 30 მლ შეფუთულია 30 მლ მოცულობის პოლიეთილენის ფლაკონში, რომელიც მოთავსებულია მუყაოს კოლოფში გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად.

დასუფთავებისა და დეზინფექციის მეთოდები

რეკომენდირებულია ყოველი გამოყენების შემდეგ გამფრქვევი თბილი საპნიანი წყლით გავრეცხოთ და შემდეგ გავავლოთ წყალი.

სტერილიზაცია

სამედიცინო მოწყობილობა არ საჭიროებს სტერილიზაციას.

როგორ მოვიხმართ

ფლაკონის პირველად გამოყენებისას დაიკავეთ ის ჰაერში ვერტიკალურად და დააჭირეთ თავაკს რამდენჯერმე, რომ მოწყობილობა მუშა მდგომარეობაში მოიყვანოთ.

მოხმარების პროცედურა

რესპირატორული ინფექციების (გრიპი, SARS) პერიოდში პროფილაქტიკისთვის რეკომენდებულია Aqualor Protect-ის ყოველდღიურად შესხურება ცხვირის თითოეულ ღრუში ერთხელ ან ორჯერ.

ცხვირის ღრუს, პარანასალური სინუსებისა და ნაზოფარინქსის ანთებითი დაავადებების დროს ასხურებენ ყოველდღიურად ცხვირის თითოეულ ღრუში 3-4-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად, სანამ სიმპტომები მთლიანად არ გაქრება.

სპრეი "Aqualor Protect" ბავშვებში და მოზრდილებში გამოიყენება სხეულის ვერტიკალურ მდგომარეობაში. ამასთანავე, თავი უნდა იყოს სწორად და ოდნავ წინ დახრილი. დარწმუნდით, რომ გამოყენებისას თავი უკან არ გადავარდეს.

თუ შესაძლებელია, გამოიფერთხეთ ცხვირი მოწყობილობის გამოყენებამდე.

მოხსენით დამცავი ქუდაკი.

მოათავსეთ გამფრქვევი მარჯვენა ცხვირის შესასვლელში.

ერთი დოზის მისაღებად დააჭირეთ თავაკს.

გაიმეორეთ პროცედურა მარცხენა ცხვირის შესასვლელში.

ყოველი გამოყენების შემდეგ გარეცხეთ გამფრქვევი თბილი საპნიანი წყლით და შემდეგ გამოავლეთ წყალი.

მნიშვნელოვანია! პროცედურის დროს თქვენ არ უნდა ჩაისუნთქოთ, არ საუბარით ან არ იყვიროთ.

ტრანსპორტირების პირობები

პროდუქტის ტრანსპორტირება ხდება ყველა სატრანსპორტო საშუალებით დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში ამ ტიპის ტრანსპორტისთვის მოქმედი ტრანსპორტირების წესების შესაბამისად.

ტრანსპორტირების პირობები:

8°C-დან 35°C-მდე ტემპერატურაზე და ფარდობითი ტენიანობის 45%-დან 95%-მდე მზის პირდაპირი სხივებისგან მოშორებით. არ გაყინოთ.

შენახვის პირობები და შენახვის ვადა

მოარიდეთ ბავშვებს.

ინახება ორიგინალ შეფუთვაში 8°C-დან 35°C-მდე ტემპერატურაზე

გახსნილი ფლაკონი შეინახეთ ვარგისიანობის ვადის გასვლამდე, დამუშავების წესების დაცვით (იხ. გვ. გაწმენდისა და სტერილიზაციის მეთოდები).

ვარგისიანობის ვადა - 3 წელი. შეფუთვაზე მითითებულია ვარგისიანობის ვადა.

გადამუშავებისა და განადგურების განხორციელების პროცედურა

ვარგისიანობის ვადის გასვლისას პროდუქტი განადგურდება A კლასის სამედიცინო ნარჩენების განთავსების წესების შესაბამისად.

საგანატიო ვალდებულებები

ამ სამედიცინო მოწყობილობის ხარისხი და საფრანგეთის IS LAB-ის საწარმოო ობიექტები აკმაყოფილებს ხარისხის ყველა საერთაშორისო სტანდარტს, რაც დასტურდება ISO 13485:2016 სერტიფიკატით და პროდუქტის შესაბამისობის დეკლარირებით. მწარმოებელი იძლევა გარანტიას პროდუქტის ხარისხზე მთელი შენახვის ვადის განმავლობაში.

რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე პროდუქციის ხარისხზე პრეტენზიები ეგზავნება უფლებამოსილ წარმომადგენელს: Nizhpharm JSC, 603950, რუსეთი, ნიჟნი ნოვგოროდი, ბოქსი №459, ქ. საგლანსკაია, 7; ტელ: +7 (831) 278-80-88; ფაქსი: + 7 (831) 430-72-28, ელ-ფოსტა: med@stada.ru

ტექნიკური მომსახურება და შეკეთება

ექსპლუატაციის დროს პროდუქტი არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას. პროდუქტი არ ექვემდებარება შეკეთებას.

მარკეტინგი და დისტრიბუცია

სს „ნიჟფარმი“, 603950, რუსეთი, ნიჟნი ნოვგოროდი, ბოქსი №459, ქ. საგლანსკაია, 7; ტელ: +7 (831) 278-80-88; ფაქსი: + 7 (831) 430-72-28, www.aqualor.ru